ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/111404-16 11 09 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ავტოსადგომის სართულზე „2-1“ მონაკვეთში „ე-ე“ ღერძზე კარი ნაცვლად ასაწევისა, მოძრავია. „ე-ე“ღეძის მარცხნივ „1-1“ ღერძის მიმდებარედ მოწყობილია სანიაღვრე.

I სართულზე „1-2“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძზე გაზრდილია მონოლითური კედლები სიგრძეში დაახლოებით 0.40მ-ით. „2-2“ ღერძის მიმდებარედ მოწყობილია ორი საკომუნიკაციო შახტა. „ა-ბ“ მონაკვეთში „3-3“ ღერძთან კიბეზე გაუქმებულია ორი საფეხური. ამავე მონაკვეთში „4-4“ ღერძთან შენობის კედელთან მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა. „ბ-გ“ მონაკვეთში „4-4“ ღერძზე გაზრდილია ვიტრაჟი სიგანეში დაახლოებით 0.15მ-ით.

II და III სართულებზე „ა-ბ“ მონაკვეთში „ბ-ბ“ ღერძთან კიბის მარშში ერთი რიგი შემცირებულია სიგანეში დაახლოებით 0.15მ-ით.

X, XI და XII სართულზე „ბ-ბ“ ღერძზე აივანზე მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი.

XIII სართულზე „4-3“ მონაკვეთში ტერასაზე მოწყობილია კაპიტალური ხელსაბანი. ბ-ბ ღერძზე 1-1 ღერძთან კოლონასა და კედელზე მოწყობილია მცირე ზომის კედლები. „5-5“ და „$ა^{11}$-$ა^{11}$“ ღერძების გადაკვეთაზე გასქელებულია კოლონები დაახლოებით 0.40მ-ით.

XIV სართულზე „1^{1}-1^{11}“-„ა-ა“ და „5-5“ და „$ა^{11}$-$ა^{11}$“ ღერძების გადაკვეთაზე გასქელებულია კოლონები დაახლოებით 0.40მ-ით. „4-4“ ღერძის მარჯვნივ აივანზე ნაცვლად კოლონისა მოწყობილია კუთხოვანი ფორმის დიაფრაგმა.

სახურავზე „ე-ე“ ღერძის გარეთ ბუხრის მილის ყელი კედლით დაკავშირებულია პარაპეტთან, , შენობის სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო ღიობებზე ქუდის ფორმა. „2-3“ მონაკვეთში სამანქანოს კედლის ღიობში მოსაწყობია კარი.

სართულებზე „დ-დ“ ღერძზე მონოლითურ კედლებში მოწყობილია კარის ღიობები.

„ე-ა“ ფასადზე +0.00 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარცხნივ ღობის კედელი გათხელებულია. +4.20 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძთან აივანზე შეცვლილია რუსთით ტესკის ელემენტი, ამავე ღერძის მარცხნივ +4.20დან +33.20 ნიშნულის ჩათვლით შეცვლილია აივანზე გამავალი კარებების ნახატი, ასევე +7.50დან +20.40 ნიშნულის ჩათვლით აივანზე დამატებულია დამატებითი რუსტის ხაზი. „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ +39.60 ნიშნულზე აივანზე კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა. +10.80დან +26.60 ნიშნულის ჩათვლით „ბ-ბ“ მონაკვეთში აივნებზე მოწყობილ ვერტიკალურ კედლის მთელ სიმაღლეზე დამატებულია რუსტები.

„5-1“ ფასადზე +4.20 ნიშნულზე „4-4“ ღერძის მარჯვნივ არ არის აივნის კედელი დამუშავებული რუსტებით. +4.20 დან +42.80 ნიშნულის ჩათვლით „3-4“ მონაკვეთში აივნის მოაჯირები გაზრდილია სიმაღლეში დაახლოებით 0.15მ-ით. +4.20 დან +33.20 ნიშნულის

ჩათვლით „4-4“ ღერძის მარჯვნივ გაზრდილია აივნები სიმაღლეში დაახლოებით 0.15მ-ით. +4.20 ნიშნულზე 1-1 ღერძთან შემცირებულია აივნის სისქე. +39.60 ნიშნულზე 4-4 ღერძის მარჯვნივ აივანზე კარის ნაცვლად მოწყობილია ფანჯარა ხოლო მის თავზე გასქელებულია აივნის ძირი. +42.80 ნიშნულზე 1-1 ღერძთან რიგელი ნაცვლად ყვითლისა შეღებილია ნაცრისფერში.

„ა[11]-ე“ ფასადზე „ა[11]-ა[11]“ ღერძის მარცხნივ +14.00 დან +36.40 ნიშნულის ჩათვლით კედელი დამუშავებულია რუსტებით. +0.00 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ აივნის ქვეშ კომუნიკაციების შეფუთული ნაწილი ნაცლად ნაცრისფერისა შეღებილია ყვითელ ფერში. +10.80 დან 42.80 ნიშნულის ჩათვლით „ბ-გ“ მონაკვეთში გაზრდილია მინაბლოკების ღიობი სიმაღლეში დაახლოებით 0.40 მ-ით. ამავე მონაკვეთში +10.80 დან +42.80 ნიშნულის ჩათვლით სადარბაზოში მოწყობილია ზღუდარები და ფასადის მხარეს მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა რომელიც შეღებილია ყვითელ ფერში. +36.40 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში აივანის შიგნით კედლები შესაღებია. +39.60 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ფასადზე კედლის გამოსვლის ფორმა, და აღნიშნულ ნიშნულზე მოწყობილია ტენტი. +42.80 ნიშნულზე „ე-ე“ ღერძის მარჯვნივ შემცირებულია ვიტრაჟი სიმაღლეში დაახლებით 0.20მ-ით. +46.00 ნიშნულზე „ა-ა“ ღერძთან სანიაღვრე მილების თავზე მოწყობილია თუნუქის გადახურვა, ხოლო ბუხრის მილი შემცირებულია სიმაღლეში და მოწყობილია პარაპეტის დონეზე. ა„-ბ“ მონაკვეთში 4.20დან 10.80 ნიშნულამდე შესალეს შესაღებია კედელი.

„1-5“ ფასადზე +0.00 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში მოწყობილია რიგელი. +4.20 ნიშნულზე დამატებულია ორი რუსტი.

შენობის ფასადებზე შეცვლილია აივანზე გამავალი კარებების ნახატი, ასევე შეცვლილია ნაწილობრივ ვერტიკალური ვიტრაჟების ნახატი, ფასადებზე დამონტაჟებულია, კონდენციონერები, გამათბობლები და გამწოვები.

საპროექტო ტერიტორიაზე: მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილი შემოჭრილია საპროექტო წითელ ხაზის შიგნით, ხოლო საპროექტო შენობის ნაწილი წინა მხარეს გასულია საკადასტრო წითელ ხაზს გარეთ.

ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 11.06.2012 წლის №018096 ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით:

შენობის კარკასის შემავსებელი კედლების კერამიკული ბლოკების წყობაში არ არის შესრულებული არმატურის ბადეებით ჰორიზონტალური არმირება. თვით კედლის კერამიკული ბლოკების სიმტკიცე დაბალია და ვერ აკმაყოფილებს სეისმომდეგი მშენებლობის მოთხოვნებს. ასეთნაირი კედლის კავშირების მოწყობა კარკასთან გაძნელებულია, ამიტომაც მიწისძვრისას შესაძლებელია კედლის დაძვრა თავის სიბრტყიდან. კედლებში შესაძლებელია ურთიერთ გადამკვეთი დიდი გახსნილობის ბზარების გაჩენა. (კვლევა ჩატარდა მე-11 სართულზე, მეპატრონე მარინე რუხაძის ფართში მდებარე შენობის კედლებზე)

<u>სახურავზე</u> სამანქანოს თავზე ნაცვლად სწორი გადახურვის მოწყობილია ქანობიანი სახურავი, რის გამოც გაზრდილია სიმაღლე დაახლოებით 0.60მ-ით აღნიშნული გადახურვა ნაჩვენებია ფასადის ნახაზზე. სახურავზე მოწყობილია თუნუქის გადახურვა რომლის ქანობები არ არის ნაჩვენები 1-1 ჭრილში, ნაჩვენებია „2-2“ ჭრილში.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ი.ბ.ა. „დიდუბე-23”-ს ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/111404-16 30.07.2012წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/168-16 16 01 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/111404-16 11.09.2012წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2013 წლის 03 იანვარს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა ი.ბ.ა. „დიდუბე 23“-ის თავმჯდომარემ ომარ აბულაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი-დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/111404-16 11.09.2012წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ №ბ-12/111404-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში მითითებული წითელი ხაზის დარღვევების ამოღება, რადგან განცხადებლის განმარტებით წითელ ხაზთან დაკავშირებული დარღვევები გამოსწორებულია. სამსახურის სპეციალისტების მიერ საკადასტრო წითელი ხაზის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ №ბ-12/111404-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული დარღვევა „საპროექტო შენობის ნაწილი წინა მხარეს გასულია საკადასტრო წითელ ხაზს გარეთ“ გამოსწორებულია, ხოლო “მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილი შემოჭრილია საპროექტო წითელ ხაზის შიგნით“ უცვლელი დარჩა (საქმეშია ცნობა 14.01.2013წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად “ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/111404-16 ბრძანებაში ასახული დარღვევა „საპროექტო შენობის ნაწილი წინა მხარეს გასულია საკადასტრო წითელ ხაზს გარეთ“ გამოსწორებულია, ხოლო “მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილი შემოჭრილია საპროექტო წითელ ხაზის შიგნით“ უცვლელი დარჩა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების შეტანა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის შემდეგ ნაწილში: „საპროექტო შენობის ნაწილი წინა მხარეს გასულია საკადასტრო წითელ ხაზს გარეთ“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შეიცვალოს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/111404-16 11.09.2012წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნას წინადადება „საპროექტო შენობის ნაწილი წინა მხარეს გასულია საკადასტრო წითელ ხაზს გარეთ“;

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/111404-16 11.09.2012წ. ბრძანებასთან ერთად.
3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/168-16 03.01.2013წ. №07/2368-16 11.01.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი